**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2/081119/3**

ქ. თბილისი **08 ნოემბერი, 2019 წელი**

**ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ # 204525585 სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი GE24NB0330100200165022

**(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)**

და მეორეს მხრივ **შპს „TOMA“** წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე მსხვილიძის სახით (შემდგომში, იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქუჩა 9ა ბ. 128; ტელეფონი: 599 99 98 98; ს/კ 404875337, სს "საქართველოს ბანკი" კოდი № BAGAGE22, ა/ა № GE72BG0000000617068700

**საფუძველი :** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტი და საბაჟო დეპარტამენტის მიმდინარე წლის 30 ოქტომბრის N133475-21-10 მოთხოვნა.

საბაჟო დეპარტამენტისთვის **მატრასების (CPV39143112 - მატრასები) შესყიდვა. ხელშეკრულების ღირებულება შედგენს 1640.00 (ერთი ათას ექვსას ორმოცი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

**1. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების ღირებულება**

1.1 შესყიდვის ობიექტია:

- 4 (ოთხი) ცალი 86სმ/196სმ ზომის მატრასი, ერთეულის ღირებულება შეადგენს 140.00 (ასორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
- 8 (რვა) ცალი 80სმ/190სმ ზომის მატრასი, ერთეულის ღირებულება შეადგენს 135.00 (ასოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1640.00 (ერთი ათას ექვსას ორმოცი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

1.3 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან.

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

**3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

შესყიდვის ობიექტია: 4 (ოთხი) ცალი 86სმ/196სმ ზომის მატრასი და 8 (რვა) ცალი 80სმ/190სმ ზომის მატრასი - შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით: ბონელის ზამბარიანი, ზამბარიანი სისტემის ოთხივე მხარეს შემოკრული 40მმ-იანი ღრუბელით, ზამბარიან სისტემაზე ორივე მხარეს დამაგრებული მთლიანი (განუწყვეტელი) ქეჩა, ქეჩა 1000გრ/მ2 , ქეჩის ზემოთ ორივე მხარეს გადაკრული 2სმ სისქის ღრუბელი, რომელზეც ეკვრება ქსოვილი გოფრირებული ბამბა, ქსოვილის ქვეშ მიკერებული ღრუბელი, თელა ღრუბელის ქვედა მხარეს, გარშემო შემოკერილი 40 მმ-იანი სამკერვალო ლენტით, გვერდებზე 2 ცალი საჰაერო (შეფუთული ვაკუმურ მდგომარეობაში.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1.საქონლის მიწოდება ყველა ხარჯის გათვალისწინებით მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2.მიწოდების ადგილი ქ.თბილისი აბზიანიძის ქუჩა N4.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. მიმწოდებელმა შემსყიდველს  უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას  მიღება-ჩაბარების აქტი  და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“).
5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

**6. ანგარიშსწორება**
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშო დღის განმავლობაში.

**7. მხარეთა ვალდებულებები**
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ საკუთარი სახსრებით მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.4.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.
7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**8. გარანტია**
8.1. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
8.1.1 მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **1 (ერთი) წელი.**
8.1.2.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ  მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, არ იქნება დაზიანებული, შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის (დეფექტის), და/ან წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით. შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

**9. ფორს-მაჟორი**
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების
გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
9.4  ფორს-მაჯორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**
13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით;
13.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 8.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;
13.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0,05%-ის ოდენობით;
13.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.1 და 13.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმირ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.
13.5. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის 13.1, 13.2 და 13.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ღირებულება ნაკლები იქნება 10 ლარზე, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო 10 (ათი) ლარის ოდენობით.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
**15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1.1 პუნქტით განსაზღვრული ვადისა.**

| „შემსყიდველი“<br>სსიპ „შემოსავლების სამსახური” | „მიმწოდებელი“<br>შპს „TOMA“ |
|---|---|
| REVENUE SERVICE_____ Digitally signed by REVENUE SERVICE<br>Date: 2019.11.08 18:48:29 +04'00' | _____ |
| **გიორგი გომარელი**<br>ფინანსური დეპარტამენტის უფროსი | **ალექსანდრე მსხვილიძე**<br>დირექტორი |